

**„ლიბერთი კაპიტალი“ და სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დასრულების შესახებ აცხადებენ**

დღეს სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ მფლობელმა „ლიბერთი კაპიტალმა“ და „საქართველოს სახალხო ბანკმა“ (GSE: BANK) 2009 წლის 4 ნოემბერს დაწყებული სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დასრულების შესახებ განაცხადეს. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად „ლიბერთი კაპიტალი“ როგორც ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტის მყიდველი ვალდებული იყო ყველა დანარჩენი აქციონერისთვის მათი აქციების გამოსყიდვა შეეთავაზებინა.

შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი დაადგინა დამოუკიდებელმა საბროკერო კომპანიამ და იგი 0.018 ლარს შეადგენდა ერთ აქციაზე, რაც იყო იგივე ფასი, რომელიც „ლიბერთი კაპიტალმა“ 2009 წლის 19 სექტემბერს „საქართველოს სახალხო ბანკის“ 91.218%-ის შესყიდვაში გადაიხადა. სავალდებულო სატენდერო შეთავაზების განმავლობაში არც ერთი აქცია აღნიშნულ ფასად არ გაყიდულა. „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციები საქართველოს საფონდო ბირჟაზე 0.05-0.08 ლარის ფარგლებში ივაჭრებოდა.



**სს „სახალხო ბანკის“ შესახებ**

სს „სახალხო ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით 4.2% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფილიალების ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 28,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [www.peoplesbank.ge](http://www.peoplesbank.ge) ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: [lado.gurgenidze@peoplesbank.ge](mailto:lado.gurgenidze@peoplesbank.ge) ან [ir@peoplesbank.ge](mailto:ir@peoplesbank.ge)

**„ლიბერთი ინვესტიმენტის“ შესახებ**

„ლიბერთი ინვესტიმენტის“ 2009 წლის სექტემბერში დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა. იგი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს მზარდი ბაზრების ფინანსურ სექტორში. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან დინუ პატრიჩიუ და ლადო გურგენიძე. „ლიბერთი ინვესტიმენტი“ ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ მზარდ ბაზრებზე, სადაც არის ღია, ლიბერალური ეკონომიკა, საიმედო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: [lg@libertycapital.ge](mailto:lg@libertycapital.ge)

დიმიტრი კასატკინს  
დირექტორის მოადგილე  
+44 77 860 28 700  
ელ-ფოსტა: [dk@libertycapital.ge](mailto:dk@libertycapital.ge)